

ნახევართინალში – მეთორმეტედ

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 12 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "კარპატი" (ლოკოვი) 2:1 (1:1).

"დინამო": გოგია, ძოძუშვილი, ჭელიძე, ხინჩავაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ქორიძე, დარასელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

"კარპატი": რაკიტსკი, გერეგი, პოტოჩჩინიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ლიხაჩივი, დუბროვნი, დანილიუკი (ხიუაკი), კაკოტი, კოზინკვევიჩი.

მსაჯი: ვ. უარკოვი (მოსკოვი).

"კარპატი" სულ ერთ თვის წინათ იყო თბილისში და ჩემპიონატის მატჩი "დინამოსთან" უიმედოდ წაავო – 0:3. ანგარიში ყოვემხრივ შეესაბამებოდა თამაშის მსვლელობას. ლოკოველებმა მაშინ ხეირიანი ვერათერი გვიჩვენეს ჩენეს სტადიონზე, თავიდანვე ყველა რგოლში დათმეს ბრძოლა და იოლადაც გადაურჩნენ კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტს.

მაგრამ ეს იყო 14 მაისს, წლევანდელი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური, საექსპერიმენტო საგაბათხულო ჩემპიონატის მატჩში, რომელიც გარკვეული კატეგორიის გუნდებს მაინცდამაინც დიდ პასუხისმგებლობას არ აკისრებს. იგი არათრით ჰგავს 12 ივნისის მეოთხედინალურ შეხვედრას სსრ კავშირის თასზე, რომელიც შეუდარებლად მეტი დაძაბულობით და სიმწვავით ჩატარდა. ეს სულ სხვა "კარპატი" იყო, თუმცა მის შემადგენლობაში ცვლილება მაშინდელთან შედარებით თითქოს არ მომხდარა (მარჯვენა მცველად ნიკიტიუკის ნაცვლად ითამაშა გერეგმა).

პირველი 30 წუთი მთლიანად სტუმრებისა იყო. მატჩის ეს ნაწილი მათ დიდი ტერიტორიული უპირატესობით, მონდომებით და ენერგიულად ჩატარეს. დასაწყისშივე დაეუფლენენ უპირატესობას, აიღეს ტემპი, რომლის წყალობითაც მეტოქეს მცირეოდენი კონტროერიშის საშუალებაც კი არ დაუტოვეს. დინამოელები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით დაცვის ორივე ფლანგზე, სადაც კოზინკვევიჩი და ლიხაჩივი სისტემატურად იგებდნენ ბრძოლას და სახითათოდ აწვდიდნენ ცენტრში დანილიუკს, კიკოტს, დუბროვნის, დიდი დატვირთვით მოუხდათ ბრძოლა ცენტრალურ მცველებს ჭელიძესა და ხინჩავაშვილს, ხოლო გოგიამ, სულ ცოტა ორ–სამ უდავო საგოლე მომენტს გადაარჩინა თვისი გუნდი. მისი დამსახურება ამ მატჩში დიდია.

ბურთი სტუმრებმა მე-17 წუთზე გაიტანეს. ეს არ იყო შემთხვევითი გოლი, ვინაიდან ამ პერიოდში "კარპატი" საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით თამაშობდა. მარჯვენა ფლანგიდან გათამაშებული საჯარიმო დარტყმა კარის უშუალო სიახლოვეს ზუსტი დარტყმით დაამთავრა დანილიუკმა.

საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა "დინამოს" მიეცა სულ მალე, მე-20 წუთზე. გარღვევაზე გასული ყიფიანი უხეშად წააქცია დუბროვნიმ, რისთვისაც მსაჯი 11-მეტრიანი დანიშნა, მაგრამ ყიფიანმა მიზანს ააცდინა ბურთი.

თბილისელებმა მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში, როცა თავდამსხმელებმა რიგიანი კონტაქტი დაამყარეს ერთმანეთთან და ნახევარმცველებმაც უმატეს ტემპს. 38-ე წუთზე ჩელებაძე–ყიფიანის ტანდემი მოპირდაპირის საჯარიმო მოედანზე შეიჭრა და ამ უკანასკნელმა ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმში ბრძოლის სურათი მინდორზე რადიკალურად შეიცვალა. დინამოელებმა მთლიანად გარდაქმნეს თამაში, ხელთ იგდეს უპირატესობა და, თუმცა, გოგიას კვლავ დასჭირდა თავისი კარის ხსნა უძნელეს შეტაკებაში მასთან პირისპირ გასულ კიკოტთან, "კარპატის" დაცვას დიდი ჭავა დაადგა მონინაალმდევგის იერიშების მოსაგერიებლად.

გადამწყვეტი გოლი ლოკოველთა კარში 51-ე წუთზე გავიდა. გერეგი უხეშად ეთამაშა ყიფიანს თავის საჯარიმო მოედანზე, რასაც დაუყოვნებლივ მოპყვა უარკოვის სასტვენის ხმა. პენალტი ამჯერად გუნდმა მიანდო ქორიძეს, რომელმაც შეძლო მისი გამოყენება.

თბილისის "დინამო" მეთორმეტედ გავიდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფუნქციალში.

მატჩში დანიშნული იყო სპეციალური ჭილდოები ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეთათვის. უიურიმ ეს ჭილდოები მიაკუთვნა თბილისელ დ. ყიფიანს და ლვოველ ე. კოზინკევიჩს.

რ. ქორიძე.

"ლელო", 15 ივნისი, 1976 წ.